ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №48

ქ. თბილისი 5 დეკემბერი 2012 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე დავით ნინიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი კახაბერ ნიაური

კომისიის წევრები: დავით მახარობლიშვილი, გია აბულაძე, დავით აბულაძე, გიორგი ჩაჩანიძე, მანუჩარ მახათაძე.

მოწვეულები: მ. მარძიკაშვილი, მ. ვარდოსანიძე, ლ. დანელია, მ. ჩხაიძე, ნ. სვანიძე, ნ. გუგურიშვილი, მ. არევაძე, თ. ფიფია, ვ. რევიშვილი, რ. გერსამია, ლ. აბდალაძე, გ. ბეჟაშვილი, ნ. დვალიშვილი, ლ. ძაგნიძე, გ. მირიანაშვილი, ნ. კაპანაძე, ნ. ფერიაშვილი, გ. ბარათაშვილი, ია ჯიბღაშვილი, ი. სამხარაძე, რ. სანიკიძე, მ. დაშნიანი, თ. როსტიაშვილი, ზ. მანჯავიძე, მ. კუჭუხიძე, ა. გუჯეჯიანი, მ. სულაბერიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

7. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მარაბდის ქ. №23-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ვ. რევიშვილი, რ. გერსამია, ლ. აბდალაძე).

8. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, თიანეთის ქ. №95-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი ბინის, საწყობის, მაღაზიისა და ბარის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – გ. ბეჟაშვილი).

9. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გაგარინის ქ. №9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ნ. დვალიშვილი, ლ. ძაგნიძე, გ. მირიანაშვილი).

10. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, რაზმაძის ქ. №56-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის განთავსების მზინით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ნ. დვალიშვილი, ლ. ძაგნიძე, გ. მირიანაშვილი).

11. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, აკურის ქ. №30, ალექსიძის ქ. №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ნ. კაპანაძე).

12. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ზ. ფალიაშვილის ქ. №86-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული მრავალბიანიანი საცხოვრებელი სახლისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ნ. ფერიაშვილი, გ. ბარათაშვილი).

13. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვაზე, საიალქნო კლუბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.21.001.136) არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისთვის სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

14. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ლერწმის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.368) ღობის რეკონსტრუქციის მიზნაშეწონილობის შესახებ.

უარი ეთქვას ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, რაზმაძის ქ. №56-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

11. ნ. კაპანაძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, აკურის ქ. №30, ალექსიძის ქ. №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ნ. კაპანაძე. AR 196251
დადგენილი პარამეტრები – კ2=3,98.
მინიჭებული პარამეტრები – კ2=4,4.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=4,6.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, აკურის ქ. №30, ალექსიძის ქ. №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=4,6.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

12. ნ. ფერიაშვილის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ზ. ფალიაშვილის ქ. №86-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული მრავალბიანიანი

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ბოგდან ხმელნიცკის ქ. №48-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკულტო ნაგებობის (ეკლესია) განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარე დავით ნინიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი კახაბერ ნიაური

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 3372

" 7 " დეკემბერი 2012 წ.

ქ.თბილისში, აკურის ქ. №30, ალექსიძის ქ. №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2012 წლის 5 დეკემბერის სხდომის №48 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, აკურის ქ. №30, ალექსიძის ქ. №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=4,6.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი” ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE52LB0125152101628356.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ა. ბოჭოიძეს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა